პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

ქალაქი ბათუმი ____ ოქტომბერი, 2024 წ.

„ქალაქ ბათუმში, ადლიას ქ.N53-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ - 05.32.16.322; 05.32.03.904) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ოქტომბრის Nგ-15.15232977განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. „ქალაქ ბათუმში, ადლიას ქ. N53-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ - 05.32.16.322; 05.32.03.904) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ოქტომბრის Nგ-15.15232977განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია ჩამოყალიბდეს ამ განკარგულებაზე თანდართული რედაქციით;

ბ) განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროქტის მიხედვით გადამეტებული) კ 1/2 მაჩვენებლის 10%-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.“.

გ) განკარგულებას მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის 3^1 პუნქტი:

„3. განემარტოს შპს „ტემპო აა“-ს (ს/N445743562), რომ იგი ვალდებულია განაშენიანების დეტალური გეგმის ეტაპზე წარმოადგინოს გეგმარებითი ერთეულის არეალში შემავალი ყველა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავების თაობაზე.“.

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ **ირაკლი თავდგირიძე**

განმარტებითი ბარათი
პროექტის სახელწოდება და სათაური

,, ქალაქ ბათუმში, ადლიას ქ. N53-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ - 05.32.16.322; 05.32.03.904) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ოქტომბრის Nგ-15. 15232977განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ
ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

განმცხადებელი: შპს ,,ტემპო აა" -მოთხოვნილია ქ. ბათუმში; ადლიის ქ. N53/57-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე: N 05.32.16.322; 05.32.03.904; 05.32.16.095; 05.32.16.096 დამტკიცებულ განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციაში ცვლილებები; ითხოვს განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გაზრდას 2,5-დან 9,0-მდე. პროექტით გათვალისიწნებულია 190 ავტოსადგომი. მოთხოვნილი სართულიანობა 16 სართული; სიმაღლე 50,9 მეტრი.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:
,, ქალაქ ბათუმში, ადლიას ქ. N53-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ - 05.32.16.322; 05.32.03.904) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ოქტომბრის გ-15. 15232977განკარგულებაში ცვლილებების შესახებ"განკარგულების პროექტი

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:
ბ.ა) განკრგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.
ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:
განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული
პოლიტიკის სამსახურის უფროსი **გიორგი წანაწყენიშვილი**